



ბატონი




№ 30. —საღამური

ყოველკვირეული იუმორ. ჟურნალი.


მ ბ მ ა ვ ლ ი ს ს კ ო ლ ა.

იღბო განათლების მინისტრმა ახალი განკარგულება გამოსცა, რომლის ძალით სკოლებში ბავშვებს სამუდროო ხელოვნებაც უნდა შეაწავდნენ.



ლოცოფიანა ს. ბიბიისა

პრემია მიღება სასწავლებლებში.



1 გაკვეთილი: ცნენოსნობა.

2 გაკვეთილი: სროლაში ვარჯიშობა.



ახალი სკოლა.

(სახეშარი ამბავი).

მაკრინეს ნატვრა
 დღეს უკვე ახლა:
 იმისი ვაჟი
 შვიდი წლის გახდა!
 ხუთი წელია
 ქმარი მოუკლეს,
 მაკრინეს ოჯახს
 დარჩა მხოლოდ ეს.
 ეს ერთი ბურჯი
 და შეშინებული...
 დათიკო გახლავთ
 მისი სახელი.
 მკვირცხლი, მალხაზი,
 დაუღეგარი,
 მთელი დღე დაქპრის
 ვით ნიაქ-ქარი...
 ოჯახს აცოცხლებს
 და აფერადებს,
 დედას უქარვებს
 ნაღველს და დარდებს.

დღეს შეათეჯერ
 არის სკოლაში,
 გამოიკადა
 ხელი ბრძოლაში,
 და იი „სწავლით“
 დანატვრითაჲ
 გამოჩნდა მისი
 ლამაზი თავი.
 სწრაფათ გააღო
 ეზოს კარები
 და შიმშილისგან
 ანაჩქარები
 შეიჭრა სახლში
 როგორც შურდული
 ის გულ ზეიადი
 და გამბედული.
 — გათავდა, შვილო,
 კაკეთილები?
 — დიახ, „ტაკ ტონო“!
 — მართას შეილები
 არ წამოსულან,
 თუ იქ დატოვეს?
 — დიახ, „ტაკ ტონო“!
 ენოს და ნოეს
 დაუგვიანდათ
 „ნაუჩენიე“
 და კიდევ მისცეს
 „ნაკაზანიე“.

— შენ ხომ დროზედ
 გამოეცხადე?
 — დიახ, „ტაკ ტონო“,
 ყველაზე ადრე.
 — რა ამბავია
 სულ მშ „ტაკ ტონო“,
 მოდი, გენაცვა,
 ერთი ჩავპროშნო.
 მეტი რუსული
 ვერ დიხსომე?
 — „ნიკაჲ ნეტ, მამა“
 საკმელი რომე,
 თორემ აღარ მაქ
 ამდენი ვადა,
 მივალ „უროკის“
 დასასწავლადა.

უცებ შეეკადა
 პური და ყველი,
 (ღვინოსაც აღარ
 დააღლო ხელი!)
 და გამოვიარდა
 ეზოში კვალათ
 სავარჯიშოთა
 და განსასწავლათ.
 უცებ მოაძრო
 თოხისა ტარი,
 და ვით დიდი ხნის
 მხედართ-მთავარი
 მოახტა „ლურჯას“
 და გააქროლა
 მოაჯირგალა
 ხავერდის მოლა.
 — დათიკო, შვილო,
 რას შეგბი ამას?
 რისთვის ჩქაროდი
 საკმელის კამას?
 სათამაშო დრო
 ხანა გაქვს, ნენა,
 ჯერ გაიწაფე
 კითხვაში ენა.
 — რას ამბობ, დედი,
 შენი ჰორიმე,
 შენა გკონია
 ვთამაშობდი მე?
 ცხენოსნობაში
 ვიწაფებოდი,
 ხან ძირს, ხან მაღლა
 მისთვის ვხტებოდი.
 მინისტრებისგან
 არის ბძანება,
 უნდა ვიკოდეო
 ცხენის ტარება.

დიდი ძალია კავადერია,
 თუ მამულს მტერი
 შემოერია.
 — რას ამბობ, ბიჭო,
 რის კავადერი
 სიტყვა ისწავლე
 ორიოდ ღერი...
 — აი მიყურე...
 სროლა მიზანში!
 თუ მოხვდეს იმ გოქს
 ავი ქვა თავში.
 (გამოუვიზნა,
 უსწორა თვალი,
 ესროლა, მოხვდა...
 გოქი საწყალი
 იქვე დაეცა
 თავ-რეტ დასხმული...
 დათიკოს შიშით
 გაუსკდა გული).
 — ავი რა ქენი
 შე სასიკვდილევ,
 ჯანსა და ღონეს
 ამაში ილევ?
 იგია შენი ვაკეთილები,
 რომ ჩამტვირიო
 გოქებს კბილები?
 ოი დავლავგროს
 მოწყალე ღმერთმა,
 კინაღამ მოკლა
 გოქი ამ მხეცმა.
 — მე რომ მიწყურები
 ჩემი ბრალია?
 მერტი ჯერ არა
 დამისწავლია.
 — აგია სწავლა
 შე საბაველო,
 რომ გოქი მოკლა,
 ბალახი თელო?!
 — სხვაიც კი ვიცი
 რაც იქ მასწავლეს...
 კითხე თუ გინდა
 აუჩიტელ პავლეს.
 „მარშიროკები“
 ჩესტის“ მიტემა,
 ოპ, რანაირი
 იციან ცემა,
 თუ ცოტა რამე
 რიგზე ვერ ქენი!!!
 კინაღამ მოკლეს
 მართას ევეგენი!
 — ბიჭო, რას ანობ,
 რისი ჩესტებია?

სკილაში რისთვის
 დაეხებები?
 ვინ არის სული
 რომ წაიწყებინდა?
 „მაშიროკები“
 რა შეეკვთა მინდა!
 — ახლა, დედილო,
 სხვაფერი დროა:
 ზენი სკოლები
 სულ სამხედროა.
 საომრათ გვზრდინა
 და გვასწავლიან,
 წიგნებისათვის
 ვილას სკალიან.

ეშმაკი.

ორი კაცი ერთ არსებში.

(ამბავი მამა ვოსტორგოვის შესახებ).

ვახეთის თანამშრომელთან მუშაობის
 დროს (ბავშვთა გაზრდის შესახებ) მამა
 ვოსტორგოვმა განაცხადა: თქვენ არ
 უნდა აღრიხოთ ერთმანეთში უწინდელი
 ივანე ივანეს ძე ვოსტორგოვი და დღე-
 დღისადმი ივანე ივანეს ძე ვოსტორგო-
 ვიო*.

— რაშია საქმე?— შეეკითხა ექიმი ავთომყოფს
 და ეტივინათ ავთოდღერა-ჩა: თვალთა იგი.
 ავთომყოფმა მძიმეთ ამოიხიზრა.

უბედურება თუ გნებავთ, ესაა! პირიორება
 გამოიორკედა მძიმე სახით. ჩემს არსებაში, ბანო
 ექიმო, ამ ღამით ორი ადამიანი ზის; ვაგვიკვირდათ!
 ღმერთმანი, ორათ ორი! მართალია მომღერბა არ
 უნდა მოილოს სახელი უფლისა ამასა ზედა, მაგ-
 რამ აქ იფიკებს არა ეს, არამედ ის. ის საზიზღა-
 რი ივანე ივანეს ძე ვოსტორგოვი ახსენებს ღვის
 სახელს.

— მომითმინეთ, მომითმინეთ, საქიროა საქმე-
 ში ვაგვიკვირეთ.. როგორაა? რამდენი კაცი ზის
 ამ ღამით თქვენს არსებაში?

— ორი, მხოლოდ ორი ცალი, ბანო ექიმო,
 ანუ ერთი წყვილი!..

— მშ! გასაოცარია! როგორა გრძობთ მერ-
 მე თავსა?

— რასაკვირველია სხვა და სხვა გვარათ ბანო
 ექიმო! აი მავალითად, როცა მე ვხედავ თქვენს
 ოქროს სათუთუნეს, ან როცა ვუპერტ თქვენს
 მომხიზღავ მოსამსახურე ქალს, მაშინ თავს გიგამე
 ივანე ივანეს ძეთა ვგრძნობ, ხოლო როცა მათ
 თვალს მოვაშორებ, კვალად ღმობიერ და სათნო
 იოანე იოანეს ძეთ ვიქცევი ხოლმე.

ექიმმა სწრაფათ წამოუსკვა ხელი ოქროსსათუ-
 თუნეს და სტოლის უჯრაში შეინახა. როცა შენი-

შნა ივანე ივანესძის ცბიერი თვალები ოქროს საათისაკენ მიპარობოლი, მსწრაფლ შევირა ტანისამოსის ბოლოები და ძვირფას ბეჭედიანი ხელი, სიფრთხილის გულისათვის, ჯიბეში ჩაიყო. შემდგომად ამისა განავრძო:

— შაშ გვრე, გავარკვიოთ საგანი! აბა მიბრძანეთ რაიმე ამ ორი ერთ არსების შესახებ.

— ინებეთ... დავიწყეთ ივანე ივანესძე ვოსტოგოვისაგან. უწინარეს ყოვლისა, მოძღვრის მოვალეობა მიძღვლებს მოვასხმეთ, ბნო ექიმო, რომ ივანე ივანეს ძე ძლიერ ურდოა ცაცია. უფრთხილდით მას, ბნო ექიმო! მტაცებელი, გარყვნილი და ანგარებით აღსავსე პიროვნებაა, ბნო ექიმო, ეს ივანე ივანესძე. სწორად ის იყო ბნო ექიმო, რომ ერთხელ გავლანგა სკოლის ფულები, გახრწნა მცირეწლოვანი მოსწავლე ბავშვები და შეაგინა ხატება უფლისა. მე ისე ვამბობ, თორემ ვიცი წაითხილი და დაგებული გვეგებათ. მე, იოანე იოანესძემ. მაშინვე ვუთხარი მას: „ხატებით რაღა გინდა ივანე ივანესძემ, ეს არ არის კარგი საქმე მეთქი“. — „შენ შენს ქერქში დაეტიე ქოფაკო ძაღლო, როცა საქმის არაფერი გეხმოს!“ ასე. აი ამ სიტყვებით მიპასუხა..

— თქვენ რაღა უპასუხებთ ამაზე? — შეეკითხა ექიმი.

— მე რა... საივლეღათ ხომ ვერ წავიდოდით? მოვიბრძინე, მეტი რა გზა იყო; დაეთმე ერთი შეურაცხყოფა.

— მოძღვარისა და მწყემსი მამა იოანეს შეი ახებ რას გვეტყვიოთ?

ავათმყოფი თითქო გამოცოცხლდა.
— ო ო ოო, ის, ბნო ექიმო კეშპარიტათ უანგარო, წმინდა პიროვნებაა. მშვიდი, ღმობიერი, ერთ ურიგო სიტყვას არ იტყვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ მის აუცილებელი სამოთხე მოელის, თუ რომ ამ საზოზღარი, გაქუცულ ივანე ივანესძემ არ წაუხლინა საქმე.

ექიმი დაატკერდა ავათმყოფსა და შეეკითხა:
— აბა... რომელი ამათვანი უფრო ძლიერია?... ჰო, ნუ ყუყობთ, თქვით? ნუ გეშინიათ; თქვენ ხომ ექიმის წინაშე დგებით... ეს ჩემთვის აუცილებელი საჭიროებაა! აბა!

ავათმყოფს შერცხვა და თვალები დაუშო.

— აბა, რაღას მაყოვნებთ? რომელი უფრო ძლიერია?

— ივანე ივანესძე!
— აბაა! ჰე! საქმე სერიოზული ყოფილა! ექიმი მიმიზეთ ჩიუქტრდა.

* *

განის კარიდან, ოთახში ექიმის პატარა ქალი შემოატკრილადა.

— მამილა! სენ ტელეფონთან ვილევაცენ.

ავათმყოფი მიუხალგოდა ბავშვს; მტაცებელი თვალებით დაატკერდა და გასცინა: *მეშინიათ*

— „სენ ტელეფონთან ვილევაცენ!“ აი შე პატარა კულიანო, შენა! აბა, მოდი ძისათან ახლოს, ნუ გეშინია! ეს რა გაქვს ყვლზე, ა? ლენტი? ნუ გეშინია... ხე... ხე... ხეე! აი სულელი!!

ბავშვი ატრიადა. ექიმი დაბრუნდა მეორე ოთახიდან და გაოცდა:..

— ეგ რაღა საზოზღოაბა? როგორ არა გრცხენით, ბატონო, უსუსური ბავშვის შეურაცხყოფა?! გავიდა, შევილა, აქედან, დედასთან წადი..

ავათმყოფმა დარცხენილათ დახარა ნაკურთხი თავი და ხელები ჩაიქნია.

— სულ ის არის, ის საზოზღარი ივანე ივანესძე აი ამ წამში ველაპარაკებოდი: „სირცხვილია, ცოლდა ივანე ივანესძემ, რასა შეგები მაგს მეთქი“ იმან კი ურცხვათ მიპასუხა: „მბა ჩაიქინდე, შენი საქმე არ არის. ბებერო ქოფაკო“. როგორ მოგონოთ, ა? ეს მე მითხრა, მე, მოძღვარსა და მწყემსს!..

— კარგო, მაგრამ მოძღვარს რა ჯანამისათვის სძინავს და სიტყვას არ უბრუნებს?

— ის სუსტია, სათუთია, ბნო ექიმო! მაგრამ გარწმუნებთ, ჩემო ძვირფასო, რომ ბავშვებს-ვაყრობა როგორც მამა, სრულიად უანგარო განზრახვით. აი, ფეკრბა ის, მწყემსი კეთილი, რომ ბავშვები ყვავილია ცხოვრებისა... უფლის, თავს ევლება მათ, რომ აღმოიზარდონ ღირსეული მოქალაქენი პატარა ქალი, ის ტურფა, სათუთი ყვავილია. მის მუდამ მზრუნველობა, მუდამ თვალყურის დევნა ექვრება. პაწაწინა ხელები, მუთელი, ფუნჩულა ტუჩები.. მის პატარა, ღამაზე ფეხს რო. დაინახავ... ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! მოძღვარმა დავიწყე და ივანე ივანესძემ არ გადადგეს! ოჰ, რა საზოზღარი ვინმეა ეს ივანე ივანესძე!

— დახ... უნდა გამოგოცდეთ, ბნო ჩემო, რომ თქვენი ავათმყოფობა არც ისე სახუმაროა! ის მოითხოვს ხანგრძლივსა და ერთგულ ექიმობას; ავრეთე ცხოვრების პირობათა გაზოცლას. ესლავ გამოგიწვით საჭირო წამალს.

ექიმმა დასწერა ქაღალდის ნაღვეჯზე რამოდენიმე სიტყვა და გადასცა ავათმყოფს. იმან წაითხა და შეტკვრა:

— ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს რასა ხედავს ჩემი თვალები: „ჩისეს ხუთიოდ წლით საპრობოლემი“. ეს რა ამბავია, ბნო ექიმო?!

ექიმმა მხრები აიჩხა.

— რა ვქნათ, ეგ ერთათ ერთი წამალია ამ სნეულებათაგან: უშიშარი და უებარი.

— არა... რუსეთში ეს წამალი ვერ მიშველის ბნო ექიმო.

— როგორ?

— იმიტომ, რომ არ არის არც ერთი აფთიაქი, საიდანაც ამ წამლის შოვნა შეიძლებოდა. ხედავთ, სხვებისათვის რამდენი აფთიაქია და ჩემთვის კი ერთი არა.

— როგორ თუ არ არის?

— არ არის და არა! სულელებს, ვუკუარვარ ძლიერ.

ავთუყოფი ადგა, პირჯვარი გადიწერა, თვალი უქნა კედელზე მიკიდულ სურათს ექიმის მეუღლისას და სტოლზე თუმნიანი ქაღალდი დასდო.

— აი, სახიერი მოძღვარი ვაძლევთ რჩევა-დარიგებისათვის, მაგრამ ოქროს მოყვარე იყავით სწრაფთა ირა ჯინეში თუმნიანი და გვიცა. დერეფნიდან მსახური ქალის კივილი მოისმა.

„სატირიონი“

თიმა აპისონი.

მატარა ინტერკუ.

— დიახ, ეშპაისაგან გვაქვს მონდობილობა ორიოდ შეკითხვა მოგკეთ მათი ბრწყინვალეების იოსებ ეგგენის-ძე თავილი ვანჩაძის წერლის შესახებ.

გოთუა პართენი ცოტათი შეკრთა; ცხვირის ნესტოთა განაპირა მობაზულობა ოდნავ შეუთამაშა და, ყურების ბიზალიონი წითელ დროშასავით აფრთხ და მთელი სახის გამოდრეკელება დაღრეჯილობის ეშხით გაუშუქდა.

— მარტო ეგ არის?

მორცხვი კილოთი, როგორც სწევია *) საზოგადოთ „ნოვია რჩინი“ რედაქტორს, იკითხა პართენ გოთუამ.

— განა ერთი რედაქციისთვის ცოტაა ამოდენა სისულელე? ოჰ, რა ხარბები ხართ ეგ ვაპარუ სკებულთი პართელები!

— არ ვიცი სწორეთ რაში სხანს ჩვენი სიხარბი!

კვალად უმანკო კილოთი წაბმოსთქვა ყოფილმა დრამატურგმა.

— ცუდი არაფერი იფიქროთ, სრულიადაც არათ არა მაქვს თქვენი შეურაცხყოფა. მე მოგასვენებთ სენსაციების სიხარბეზე და სხვას არაფერს. ოღონდ ათი ნომერი მეტი გაიყიდოს და საღ გონებას სარედაქციო გოდორში მიმაღლავთ.

— წერილი ბანი ვანჩაძისა გაუსწორებელია...

— წერილი კი არ არის გაუსწორებელი, არამედ თქვენა და თქვენი რედაქცია ბრძანდებით გაუსწორებელი. ყველაფერს გაასწორებს ადამიანი, მაგრამ თქვენ კუხს თვით სამარტე ვერაფერს დააკლებს.

*) აჰ!

ეშპაი.

— მაკვირვებს, ლებრთმანი ^{საქმის} რედაქციისთვის სასტიკი კილო...

— მეც გამოკვირდებოდა თქვენი ასეთი სიხარბე, რომ არ ვიცნობდ თქვენს ბუნებას და მოუდრეკეულ მისწრაფებას სენსაციისადმი. რაკი უკუღმართი შემთხვევითი გაზეთის ხელმძღვანელი გახლდით, ნუ თუ ფებებოც შიგ უნდა ჩაეთო? ეგ სირცხვილია, ბანი რედაქტორო, სირცხვილი.

— მაშ არ უნდა დაგვებუდა დასჯილი ადამიანის წერილი?

— გვესმის თქვენი დასჯილით მოსარჩლეობა, რომელიც ორი აბახის მოგების სურვილით არის გამოწვეული!

— ის ხომ მსხვერპლია ბანი მდივნისა; აი თუ გსურთ მოსმინეთ რასა სწერს ბანი ვანჩაძე: „დაე მე ვიყო მსხვერპლი *), მსხვერპლი სხვათა ცოდვების გამოსასყიდით! მშობლებო, ყური ათხვეეთ და დაეხმარეთ საზოგადო საქმეს, ვიდრე გვიანი არ არის“. განა ამის შემდეგ გვეთქმობა რამე?

— ამის შემდეგ თუ ავი გეთქმოდით, ნუ თუ დაბეჭდვის შემდეგ ბედავთ კიდევ ლაპარაკს? ყოფილი მოსწავლე, რომელმაც მასწავლებელს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენა, ერთი სიტყვითაც არ იხანინებს თავის ამოქმედარს, კიდევაც ამართლებს მას და თქვენ კი, სენსაციების მოყვარულთა, საჯაროთ გამოგაქვთ ასეთი ქეშპარტ-თავადური მოსაზრებები.

— რაებს მიკითხავთ რომ არ ვიცი? განა მე არ მახსოვს ჩემი გუშინდელი თავ-გადასავალი? თუ კი ჩემი შეურაცხყოფით ერთ კვირესა და მეტსაც აჯახირეს გაზეთები, დღი საქმეა მდივნის შეურაცხყოფებზე და იმიწეროს რამე? თქვენ ერთს ამბობთ სიმაართეს: მაშინ გულში კიდევაც მიხაროდა, რომ ისეთ საქმეს გადაქცადა გიგომ. ჯერ ერთი ისა, რომ ქვეყანამ ჩემზე დაიწყო ლაპარაკი, ხოლო მეორედ და უმოთაგრესი, გაზეთის ტრაიემა იმატა. ჩვენი გაზეთი სწორეთ იმ დღიდან დადგა ფეხზე.

— მაშ ერთი ორი ისეთი სიამოვნება რომ შეგემთხვეთ, „ლისტოვის“ ოჯახს თავდაღმა დაქცევთ.

— მაგრამ მარტო ესეც არა გვაქვს მხედველობაში. ვანჩაძის წერილი უმოთაგრესად ბანი ბრანდის წერილის დასასურათებლათ მოვათავსეთ.

— ნუ თუ ბანი ბრანდის ნაზრანდივის დასასაბუთებლათ კიდევ ვანჩაძის ბრანდვა იყო საპირო?

— თქვენიან არავითარი საბუთი აღარ საბუთობს...

*) ეს რაღაც განსაკუთრებული სახეა მსხვერპლისა! მასწავლებელს უნდა კინაღამ მოამტკრიოდა თავის თავს მსხვერპლს ქაბისს, ქართულ გიზნაზიში იქნებ ასე ესმით მსხვერპლის შეწირვა.

ეშპაი.

— იმას რიდათი ასაბუთებთ, რომ წერილი არ გაგისწორებიათ?

— ნუ თუ ამახდაც საბუთია სხვირო? თქვე დალოცვილო, მოვეკვი ამდენი სწორებით! რედაქციაში ისეთი ხალხი მყავს, რომ ყველას სწორება და გადასწორება სჭირია. ეს „ბრანდლი“, ეს „დუმეკო“, ეს „ნეოგოსკო“, ეს „ტ.ძე.“ და სხვ. ცენზორობის დროს არ მიშვედა ამდენი სწორება სტილისა და აზრისა ..

მე გულიანათ გამეცინა და ვაბატე ბნ გოთუას ყოველივე დანაშაული.

ყარუში.

ღმერთო მღერს!

ლაყვარდას ცაზე ვარსკლავთ კრებანი მკრთალის ნათელით ოდნე კრებინან, და დილის სხივით შენფურქვე ცაზე ფერსა ჰკარგავენ, ნელ-ნელ ჰკრებინან.

ცაზე აწვილინი მთანი მაღალნი ძილს თავს აღწევენ იზმორებიანი, ზედ გაწოლილი ნისლთ ქარავანნი იპნტებინან, ცრემლათ დნებინან.

აგერა კიდევ აღმოსავლეთი განთიადისა სხივით განათდა და ცეცხლის ეტლით მნათობთ-მნათობთ ამოკისკისდა, ამოლაყვარდა.

საიქმე გახსნილ ბაღარ წალოკტმა თეგა აშლა ნეტარებითა და მოიქარგა კიდით-კიდულდ სურნელოვანი ყვავილებითა.

ტყე აშრილდა სიოს მობერეთ, ტბა აქანავდა ხშირ ლერწმოვანი, ცისა სივრცეში ლიდ ფრთოსნებისა გაისმა ჰანგი ტბილ ცისკროვანი.

შეებისა შვილმაც ნეტარებისა ქება მიუძღვნა ალაშს დილისას და დაეწაფა ნექტრის ნაკვალუს წალოკტის ნამკერვე წილ შლილისას.

მხოლოთ მაშვარლითა ნაოხარ მხარეს კვალათ ეზურა სედის მანდილი. დემერთო, მაღლისქე! იმ ნეტარ დროსა მათაც გაპკროდეს მტანჯავი ძილი.

თურქი პირელი.

საუკრბადებო ცნობები.

გასასწორებამილი რაზმი. როგორც ბათუმი-

დან ვაგტუობინენ, იქ უკვე შესდგომიან აწმყო და წამყო ბოქაულთაგან გასასწორებელი რაზმის შედგენას, სამსახურის ვადო აღნიშნულ რაზმში ყველა-

სათვის ერთგვარი არ იქნება: ვინც მეტ უნარს გამოიჩინეს ბოქაულობის დროს, მას ზედმეტუნიანად დასტოვებენ. აღნიშნულ რაზმში უკვე ჩაირიყვნენ ცნობილი „რაზმ ბოქაული“, ანუ უკეთ ვსაქვით ლანჩხუთის მეფარნე ნაბოქაულიარი (და არა ნაბუქოლანოსარი) მიქააშვილი. როგორც ამაღენ ის დაპყოს ამ „გასასწორებელ“ რაზმში ხუთიოდ წელიწადს. სხვა ბოქაულენი, როგორც კოფილინი, აგრეთვე აწმობობიულენი, მოუთუნლათ მოცილიან თავიანთ რიგს.

ჰაბრში ფრინა. ფრინელითა მიზანვა რომ მოღაში შემოვიდა, ამას, ვგონებ, ბევრი ლაპარაკი არ სჭირია, მაგრამ ჩვენში ამის მსგავსი ჯერ არაფერი გვინახავს. მხოლოდ ამ დღებში და ისიც თავად-აზნაურთა განსაკუთრებული კომისიის მეოხებით, ქართული გიმნაზიის გზოდან ავირინდა რამოდენიმე მოსამსახურე პირი. საფრენი მანქანა ყველას საკუთარი სისტემისა აქვს. სამუშაოროთ, ზოგიერთ უსაქმო და უაზრო პირთაგან აყენებული ქარი, ხელს უშლის ავიატორთა შევლომობიანათ ჩამოშვებას და ჯერაც არ იცის საზოგადოებამ რა ბედი ეწია იმთ მოგზაურობას. გიმნაზიის მოსწავლე ახალგაზრდობა მუშტაპყრობილი ელის მათ შეხვედრას.

ჩართვლი ენციკლოპედისტი ვინ არ იცის, რომ, მიუხედავთ „ბატისა და წერის“ იგავისა, ბევრი საქმის ხელის მოკიდება და მით უმეტეს ბევრი ცოდნის ჩაბლაუქება ჩინებული რამეა. იგანე როსტომაშვილი ჩვენში უკვე ცნობილია;

- ა) როგორც საუკეთესო პედაგოგი,
- ბ) როგორც საუკეთესო რედაქტორი,
- გ) როგორც საუცხოვო მწერალი,
- დ) როგორც უეზარი ექიმი,
- ე) როგორც დიდი ოკუპორი,
- ვ) როგორც ჩინებული ავრონომი,
- ზ) როგორც დახლოვანებული „საორსული მეკაე“;

თ) როგორც ასეთივე „საქორწილო მეკასე“,
ი) როგორც ასეთივე „სამარბი მეკასე“,
კ) როგორც ერთგული არქეოლოგი,
ლ) როგორც უდღესი ასტროლოგი,
მ) როგორც უბადლო ასტროლოგი,
ნ) როგორც უწარჩინებულესი ქართველი და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით ზემოხსენებულ „ბატის“ მან ბევრით გაუსწრო წინ და მის ცოდნათა ჩამოსათვლელათ ქართული დაფივიტრეც ცოტა იქნება. აი ამ მოღვაწეს დაუწერია ახალ-ახალი წიგნები და დაუროგებია თფილისის რედაქციებში. ჯერ-ჯერობით დაუბეჭდია მხოლოდ ოთხი წიგნი:

- ა) პირუტყვთა მოვლა-მოშენება (ზოოლოგია)
- ბ) თესვა ბალახ-ბუღახი „ალაყერდისი“ (ავრონომია)

გამოკვეთი!

(თუ გაგებს, ბ-ნ გ. ხაღავაძეს სჯუაღლებოთ.)

ვერ გვაშე მარხვა დოსთენა,
ჭურღობა ვერ ვქენ ხბოსთენა*.
ხაღ. ანდახა.

ამ ანდახას კარა გავეჩრებეთ, იქნებ ჩვენც ასე აღარ გავფურცრომადა „სახალხო გაზეთის“ მკადაგებელი ბნი გ. ახალიცხელი. ჩვენი უბედურობა სწორეთ აი აქ არის ჩაპარბული, რომ „მარხვა ვერ გავტებეთ დოსთენა და ჭურღობა ვერ ვქენით ხბოსთენა“.

იმ პარტარა სახეზარო წერილში, რომელსაც ასე გაუბრაზებია პარტივემული გ. ახალიცხელი, ჩვენ სრულიადც არ გამოგვეცვია მისი „უანგარო და მაღალი ზნეობის მკადაგებელი“ პიროვნება იმ ვარკსლავეთ კრებულიდან, რომლის „აღდა ომეგა“ გოთუა და ტუვაჟამ გარაიან. ჩვენ შევეხეთ მთელს რედაქციას, რომელსაც ჩვეულგებათ დაქაქვეია ავათმეოფო ეყოფიობა და მელიდურბათ ხელის წამოკერა ის წერილი, უადგილობის გამო, ორი კვირით დაგვიანდა და ჩვენ რომ გ. ახალიცხელის „დოსთენა“ უტრადლება მიგვექცია და მისი „ხბოა“ დაგვემაღა, ის წერილი სულაც აღარ უნდა დაგვებექდა. ვინც „ნოვაია რესს“ კითხულობს**, იმის ეკოდნება რომ ბნ-მა ახალიცხელმა დოც შემოგვთავაზა და ხმაც. ისე თავაზიანთ მოიხსენია ჩვენს რედაქციის წევროს მიერ წარდგენილი ლექსი. აქ არ მოგვეყეს არც დო და არც ხბო ბ. ახალიცხელისა იმიტომ, რომ ვვეშინია თავის ქებათ არ ჩამოგვართვან მკითხველებმა. ჩვენ კი ჩინებულათ ვეკით ფსი ბ. ახალიცხელის როგორც დომზობისა, აგრეთვე ხბოსი, ანუ უკეთ ესტევათ, როგორც ქებისა, ისე გინებისა და დეე იკოდეს მან, რომ „მათარბის რედაქციის“ თანამშრომელი უფრო მაღლიერნი იქნებიან, როცა მისგან მხოლოდ სათმოდღეს მოისმენენ:

„აზა გვეშას რა დიაკისა,
არცა მოწმენდილი ცისა“,
არც ახალიცხურ კაცისა.

გ. ახალიცხელი ჩვენს უტრანალს ზნეობას უკითხენებს „სახალხო გაზეთის“ ფურცლებიდან და უკითხენება ვკონებ... ნუტარ სხენებელი „ნიშნადლირიანდაც“. ვესმით მკითხველნიო, სად, რომელ ტარბში შეისწავლა ჩვენზე გვზომ განრისხებულმა პუბლიცისტმა ზნეობის კანონები? ის შეგორდია გუნიას სკოლისა და მოკიქული ბარ. გოთუას მო-

გ) ბინის საკითხი (სოციოლოგია)
დ) ორსულობა, მშობიარეობა და ახალწობილითა მოვლა-მოშენება (მედიცინა).

როგორც ვავიგეთ, დანარჩენი დარგებიდან უკვე დაუწერია ორ-ორს, სამ-სამი წიგნაკი და დამტკიცისათნავე გაუზგავნის თვლისის რედაქციეს რეკენზებისათვის.

ბ-ნი როსტომიშვილი ივანე ჯერ სულ ახალგაზრდა კაცია და შემდგეში მისგან მეტს უნდა მოველოდეთ, ვიდრე ტრევე ართმედიცისაგან.

დებებები.

(ანსკ-ის საკეტა)

მიმართა. გაზ. „საქმეში“ № 4 მოთავსებულ იქნობა, ვითომც ქიქაურაში „მოწინავე“ მომუშავენი იყენენ — სიმართლეს მოკლევბულია. ქიქაურის მუშები როგორც განვითარებით, აგრეთვე უზნეო მოქმედებით უკან სდგანან სხვა მუშებზე, რასაც მრავალი ფაქტებით დაამტკიცებენ, საქიროების დროს. ამიტომ, როგორც გადმოგვეცეს, აღნიშნული მუშები სამართალში აძლევენ გაზ. „საქმის“ კორესპონდენტს, ცილის-წამებისათვის.

იქიდანვე. ამ დღებში მოხდა ქიქაურის კარტოენკია ჩემპიონების პირველი გაჯიბრება. ვაღმა ქიქაურის ჩემპიონმა, ბ. დ. ჟორჯოლიანმა, ორი მუშატი წაავთ. მოგება დარჩა „გამოღობა ქიქაურის“ ჩემპიონს, ლახარეს.

იქიდანვე. ოგანეზოვის შვიი ქვის სარეცხი ქარხნის აღმინისტრაციამ, სამუშაო დრა 10 საათამდე ასწია. შემდგენისათვის განზრახვა აქეთ, სამუშაო დრო ოცდა თექვსმეტ საათამდე ასწიონ, მაგრამ ვინაიდან დღე და ღამეში ამ ყმათ ოცდართხი საათის მეტი არ არის—განზრახულია, დიქირაონ ორი დამოკიდლი „ტორმუზნიკი“, რომლებიც „დაატარმუზებენ“ დედამიწას, რომ ოცდართხი საათის მაგიერ ოცდა თექვსმეტი საათი მოანდომოს გადაბრუნებას. თუ ასეთი „ტორმუზნიკები“ იშოვნენ—საქმე გაიჩარხება.


ჭიათურა. ადგილობრივი სახალხო უნივერსიტეტის გახვეობას კიდევ დრმა ძლით სძინავს. საზოგადოებისგან გადადებულია 3,000 მ. პრემია, ვინც ისეთ „პრეზარატს“ გამოგონებს, რომ გახვეობა გააღვიძოს.

იქიდანვე. ქიათურის მცხოვრებლებმა დაადგინეს, ააშენონ შუაგულ ბაზარში ოთხამდე ეკლესია, რათა დაეკულ იქნან ცეცხლისაგან..

იქიდანვე. ადგილობრივმა მოწინავე ინტელიგენციამ უღალატა თავის მოგლეობას, ამიტომ უკანსკენლემაც მათ სამაგიერო გადაუხადა.

*) იგულისხმეთ მისი რეკენზია 4 ნუენისთვის საღამოს გამო.

**) ჩვენ გვევინა „სახალხო გაზეთის“ რედაქცია, როგორც ახლო ჭირსუფალი გოთუა—ტუვაჟამ—ახალიცხელინი, თვალყურს ადევნება „ახალი სუკესის“ კარპანდსა.



ძღვრებისა. ახლა მოდი და ესოდენ ღრმად ვახე
ობრძებულნი მამა გახალციხელი ნუ დაიწყებს თანა-
მშრომელთა ჩენთა ზნობრივ განსწავლას.

ახირებული კი ყოფილა მანც ეს დალოცვი-
ლი მისიონერი „სახალხო ვახუთისა“. ჩასცილებია
ნინო შეილს“ და ლამის ამოგავაშხაშოს იმის ერთი
მოთხრობის ვალათარგმნა. ვენატრ ნინო შეილს ასეთი
„პატივი“ ტრეტ ართმელდამქმს ეს ცვა და თავისი
„გენიოსული“ ნაწარმოების ვასაღვე ვენატრს სა-
ხელით ჰმოსურდა. ამისა გამო კიდევაც მიიღო შე-
საფერი ჯილდო, ვისგანაც ჯერ იყო.

მაშ რაზე მოსდის გული ბნ ახალციხელს?
აღბათ იმაზე, რომ ჩენს ეურნაღღში ვერ თანამ-
შრომლობენ ისეთი ბუმბერაზები, როგორც გოგო-
ლი, მარკ ტვენის, ჩეხოვის და სხ. იყენენ; ან ისეთი
პუბლიცისტ მორალისტები, როგორც თვით ბანი
გ. ახალციხელი და მისი ამჟოლ-დამჟოლნი „რძან-
დებიან“. ახირებული პრეტენზია თქვენმა მშემს ჩვენს
თანამშრომლებს არასოდეს არ განუზრახავთ ახტომა
იმას ზევით, სადაღრნაც შექცლიათ და ვარწმუნებთ,
თქვენც, ბანი გ. ახალციხელთა ტყველათ იტყვენთ
ფეხებს.

დასასრულ მოგახსენებთ, რომ სრულიად უმი-
ზეზოთა აქიანურებთ ამაგან თქვენი რტყენჩის შე-
სახებ, რადგან ბევრმა იცის, რომ ის წერილი თქვენს
რტყენჩიაზე ერთი კვირით ადრე იყო დაწერილი.
იქნებ თქვენ ისი გინდათ აქნობოთ ხალხს, რომ
არტყენჩიების წერა შეგძლიათ?

ჩენი გულწრფელი სურვილია ვანაგრძოთ
თქვენი მოღვაწეობა, მაგრამ არა იმ იარაღით, რომ-
ლითაც აგრე ეწავლებით, არამედ იმით, რომელსაც
აროგებენ „მათრახის“ იმ ნომარის ბოლო გვერდზე,
რომელშიაც თქვენი გამაცხარებელი წერილია მო-
თავსებული.

ყარყუმი.

ბიბლ იოგრაფია.

(„დონისა“ და „თანისა“ ბრძოლა).

ჩენს მკითხველებს, ასე თუ ისე, ანუ კოტათ
თუ ბეგართ („დონისტურად“ კოტალდ თუ ბეგარად).
გაგებებთ საქმის ვითარება და მისი მიღინარეობის
მიღრეკილება. ახლა უმჯობესია ვალაზარაკოთ ახ-
ლად მოვლენილი ბეილიდი „დონისტებისა“ ბანი
მ. კ. ყიფიანი.

„ვიცი სახუმარო საქმეს არ ჩავდივარ, როდესც
დონის მოსარჩელე გამოვსდევარ, მაგრამ რაკი შე მეგონია,
რომ ს. ზენდამბე ჩემცდარი, როგორც მას ჭგონია ჩვენა
ვართ შექცდარი, უნდა ან თვი გაიტრანათ, ან მომამკ-
ლას გულკეთილმა ახირებამა“.

მე დარწმუნებული ვარ ბეგის მკითხველი შე-
ხედავდა გვერის თვალით ჩენს მიერ წამოყენებულ
ლოზუნგს „დონისტა“ პარტიისას:

„ა, „დონი“ და ან სიკვლილი!“
ახლა სახუთი გვეძლევათ ის ეპევი თქვენთვის
შემოინახოთ, იქნებ სხვა დროისათვის დაგვირგოთ,
რამეთუ ზემოთ ამოინაწერი, რომელიც ამოდებულ-
ლია წიჯნაკის მე-13 გვერდიდან ცხად ყოფს ჩემს
მოსაზრებას, იმ განსხვავებით, რომ მე ვთქვი „სი-
კვლილი“ და დონისტი კი ამბობს „სიკვლილი“ ო.
გამსხვავება მხოლოდ პანის ხმარებაშია.

ბრძოლას ასე იწყებს ბანი მ. კ. ყიფიანი:
„ილი ხანია დონს განაწიებენ, მაგრამ „პრინციპია-
ლად“ მინი განაწიებებელი ხმაწაღდა მხოლოდ ჩემი მე-
გობარი ს. ზენდამბე და ჟენ-ჩემად ბანი თ. ყორანიაცა“),
ამიტომ დღეს დონის მომარება ადვილი გას.ბედი აღარ
არის და დღი საბუთიანება გვეჭირია“.

როგორც მკითხველი ხედავს, დონის მომარბე-
ობა ადვილი საქმე არა ყოფილა და უმთავრესი
უბედურება კიდევ ის არის, რომ „სახუთებიც“
ყოფილა საკირო.

ახე იცევით, ეს საქმე საქმედ არ ჩაიხველებოდეს:
ჩვენ დარწმუნებულნი***) ვახლავართ, რომ თანის „შემაკე-
ხებამ“ განვითარებთ ზუნებაში, რვიტობის ბეჭედი დაძა-
ვა***) მარალ წყრას“.

მართლაც ძნელია, როცა ვინმე სხვის საქმეში,
ან სხვის ალაგას, ეკვეხება“ აგრეთვე ძნელია, რო-
ცა „მკუდივარი“ ისეთ მჭკნეიჭობებში ჩაეკვეხება
რომლისიც ბევრი არაფერი გაეგება, რამეთუ ასეთი
მკლევარი ყოველთვის თავის დაძაძკვად დანას გა-
მოჰქექს ხოლმე

თანის, ჩამოკვეთებამ“ დონი მართლა დიდს
განსაცდელში ჩააგდო, თურმე და თუ არ ერთი
უცაბელი შემთხვევა, შემთხვევა დამოკიდებული მუ-
ხისა, თუ პოეტის აღმდგრანზე. დონის საქმე წა-
სული იქნებოდა. ამ ამბავს ასე ავერწერს ბანი მ.
კ. ყიფიანი:

„პოტი გ. ველსე რომ არ მ-მ-შვლებოდა თვისი
ლტსით: „ზენ გრტფი მარადიან სცოლად დონსა, განაჭრე-
ბოდა დონი და მათან ერთად გეტათარბითი ბრუნვას!“

გ. ვოლსკის აზრათაც არ მოსვლია, რომ „შენ
გეტრტფი მარადისის“ დაწერით ასეთი დაუთავსებელი
ღვაწლი დასლო „დონისტების“ პარტიას, რომ
მხოლოდ მან ვიდაარჩინა აუცილებელ სიკვდილს
დონი და განვითარებითი ბრუნვა.

ინტორაკოსი.

*) საზოგადოთ ბნ თ. ყორანისა არ უფერას ხმა-
ბობა და მოქმედებაში სახუმარო მიზანთულებს ამჯობინებს.
ნუ თუ ეს საჩაბისია!

ეშმაკი.

**) ნეტარ არიან მორწმუნენი.
ეშმაკი.

***) თქ. პანელი რასიზგან ხართ,
რას გ აწუხებთ, რა ზენ გტარა,
უთქნათ რომ ყიფიანი
არ აღდგება ბაგ-პირისა!
ეშმაკი.

პროგნოზი.

დ. ხაშური. ძმობი ეშვავო, თუ შენი ტარტაროზი გწამს, ერთი ამოიარე ხაშურისაკენ... სპირტუალურად ყოველსა ინახულე „ბაგანე“ კონსტრუქციური ვლადიმერ ორჯონიკიძე და ჰკითხე: ვინ მოგცა ვაგბატონს ასეთი უფლებებები-თქო!.. და თუ ძა ზაინი მავარი შუბლის პარტორი გამოდგეს, მაშინ შენი კურთხეული მათრასი მოიშველიე, იქნებ ამ საშუალებით მაინც შესძლო მისი სინდისის ვალეიტება. დამერწმუნე მთელი ხაშურის საზოგადოება დაგამადლებს.

ამასთანავე სათითაოთ ინახულე: მ. ყიფიანი, სილ. იოსელიანი, არსენ ოშიაძე, მიხა ლაბაძე, პელო ლაბაძისა და ჰკითხე: რა ჩაგიდენიათ?! და-ჩაარულს უნდა დახარება, თუ დამხავეციელს-თქო? ამ კითხვაზე თუ სირცხვილთ არ გავითლდენ,—ისევე შენი მათრასით შეაწითლე.

აკითხე აბრაამიძე.

ნიქალაძე.

აქაურ ყასბებს კარგა ხანია, მუშტრები სინდის დაკარგულბს უწოდებენ. ამაზე ამ დღეებში ყასბებმა ფიტო მტკიცება დაიწყეს: ღმერთო, რჯული, ჩვენ სინდისი არ დაგეკარგვიაო!.. დინიშა კომისია, რომელიც პარველათ იმ აზრზე იდგა: იქნება ყასბებმა სინიდისი „ლღვესკას“ გადაფორულსო... მაგრამ არც ასე გამოდგა, კომისიამ ყასბები ვამართლა: ამათ არც სინიდისი დაუკარგავთ და არც ნაშუსთო (ე. ი. ვისაც არა აქვს-რა, არც დაგეკარგვამო)!!

სიკოია.

ს. მიხაილიძე.

აქაურმა რკ. გზის დეპოს უფროსმა თუ ასე განაჯტო მოსამსახურეების დათგოვნა და გადარეკუადმორეკვა, სულ ცოტა. ხნის შემდეგ დეპოში მარტო თვითონ დარჩება და შემდეგ ვიღას თავზე იუფროსებს ასეთი უფროსობის მოყვარული ადამიანი, ჯერ ამაზე არ დაფიქრებულა...

სოსო.

დ. ხაშურია. თუ ბოროტ ენებს დავუჯერებთ, აღვირ ვასაგები იქნება სამტრედილოა მწუხარება. ისინი, ე ი ბოროტი ენები დაერნებით ავრცელებენ ხმებს ადგილობრივი ფოსტის უფროსის გადაყენის შესახებ. მთელი დაბა, განურჩევლად ეროვნებისა, ფეროვნებისა, ჯგეროვნებისა და წვეროვნებისა ჯერ ჯგრობითვე სტირის ამ სამწუხარო ამბის გამო და ხმები რომ მართლაც გამართლდეს, მაშინ ნახთ რა ცოდვის დღე ავადუღდებთ. მარტო ის რათა ღირს, რომ მთელ დაბას „კინტოკურის“ მოთამაშე აღარ ეყოლებას მოდი და ნუ იდარდებთ!!

სილ. ჯაგანი. „ღმერთო! მტკ. ჩვენს უბანს, ეშ-მაკები რას დაგეკლებნო“ ამბობს, მგონია, ინდო ამერიკელი ანდაზა და ეს რომ მართალია ცხადია სჩანს მამა სამსონის სხობერებიდან. რამდენი ხანია ელის სიფერი „მისიგან“ ხსნას და ვერ ეღიარა. ახლა თქვენი გამოკენით, ღმერთი ვისა სწყალობს: სიფერს, თუ მამა სამსონს?

ს. კულაში. ადგილობრივ „კენინთა“ ერთ ჯგუფს განაზრახა აქვს ახლო მომავალში საგროკრება ემართოს ვერეთ წოდებულ „ჯვარცმას“. საგანს კრების მხოლოდ და მხოლოდ ქალთა საკითხი შეადგენს. დაწერლობით შემდეგ.

„სიგა“.

ფოსტა.

ბათუმი. ზღვისპარულს. „ქურდი მიხლებე დაიქირეს“ რო იტყვიან, სწორეთ თქვენზე თქმის.

„არგინ მინახავს გამწარებული, როგორც მე დღეს ვარ ადგლაზეული, გულზე დანა მაქვს მე დასობილი, თავში გუჯა მაქვს გაღაგებული, უტყნებთა ვარ გაჩერებული. ბათუმის ქალაქს ვარ ჩამოსული. მე არა მესმის მათი რუსული ვერა ვაგარჩიე იმათში ქალა“.

ნუ თუ გგონიათ, რომ თქვენს მეტი ვერაინ იცნობდა დღევანდელს ჩვენს მწერლობას? „შემცდარი ბრძანდებით ბ-ნი ზუგისპირელი! ეშმაკმა გითხარა, რომ ეს ლექსი თქვენ მოგინარავთ ბ-ნი ჯაყელის პოემიდან („ლექსი ცხოვრებიდან“ გვ. 13). თქვე კიი კაცო, თუ კი იზარავდით ბარემ რუსულიდან მოგებართა კარგი რამ, როგორც ვ. გუნია და ი. ევლოშვილი შევიან ხოლმე.

ბლნი. ბუღბუღს თქვენი ფსევდონიმი სწორეთ რომ პოეტის შესაფერია, მაგრამ ლექსები კი...

„ღლის ყვაილი თავს აგანტურებს. ტრემლის წყალბს მფერს ასხურებს... მსთან ბინა აქვს მგლებსა და ტურებს, მზე კი მალლიან ყველას ახურებს“.

ლბთან მზემ ცოტა თქვენც შეგახურათ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში მუჯა ამ ზომ არ აღვიფრთოვანდებოდათ. დღეის შემდეგ ჩადილოში სწერეთ ხოლმე და რაც დასწერათ ბ-ნი იოსებ იმდამვილს გაუგზავნეთ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქციის სავარძელში მჯდომარეს.


„მათრასი საღობურის“ რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლობას, რომ ფული გამოგზავნონ ნიხოს ბოლქვამის სახელზე. ვისაც რედაქციის სახელზე აქვს გამოგზავნილი უნდა შესცვალოს.




თფილისი, ვოლოკინის პარკი. № 6, ტელეფონი № 481.

სილუეტის საპკურნალო ფხალი

გ. ლალიძის და აბს.



3 ფაქვეთილი: შიში იარაღ. მოხმარა.



4 ფაქვეთილი: კუნწლობა

